

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“

ანოტაცია



მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / *Secondary Vocational Qualification in Hotel Service*

მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს სასტუმროს მომსახურების სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

დაშვების წინაპირობები:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

პროგრამის მოცულობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სასტუმრო მომსახურება” ითვალისწინებს 80 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს. ზოგადი მოდულების კრედიტების რაოდენობა შეადგენს 8 კრედიტს, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, ხოლო 54 კრედიტი არის დარგობრივი პროფესიული მოდულები.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სწავლებასაც. სწავლა სწავლების პროცესის ხანგძლივობა არის 2 წელი, სრული დატვირთვით.

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულებით ქართული ენა A2 და ქართული ენა B1, შესაბამისად სწავლის ხანგძლივობა 2 წელი და 6 თვე.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს „სასტუმრო მომსახურება“-ის პროგრამით გათვალისწინებული 80 კრედიტი. ხოლო იმ პირებს ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ 110 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი: ვერიკო ჭილაძე